საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

N 8530/03 8 ივლისი 2026 წ.

საქპატენტის სხვადასხვა მოთხოვნა

ადრესატი: შპს "აჭარაბათუმის" (ს/ნ 445397455) (მისამართი: რუსთველის ქ. #28, ქ. ბათუმი)
წარმომადგენელს ბატონ მამუკა მარდალეიშვილს (პ/ნ 01017009823)

განაცხადის საიდენტიფიკაციო N94800/3
სარეგისტრაციოდ შემოტანილი ნიშანი:

OCCALI coffee
occali.com

ბატონო მამუკა,

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა" (შემდგომ - საქპატენტი) განიხილა თქვენი 2026 წლის 09 ივნისის R 12613-3/2026 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სასაქონლო ნიშანზე „OCCALI coffee" (რეგ. N29095) რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელებას მომდევნო 10 წლით და გაცნობებთ, შემდეგს:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე–20 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი 10 წლით, გაგრძელების ჯერადობის შეუზღუდავად. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადას აგრძელებს „საქპატენტი" ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ „საქპატენტში" წარდგენილი განცხადების საფუძველზე, დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემდეგ. აღნიშნული განცხადების „საქპატენტში" წარდგენა და შესაბამისი საფასურის გადახდა წარმოებს რეგისტრაციის მოქმედების ბოლო წლის განმავლობაში."

ვინაიდან, სასაქონლო ნიშნის „OCCALI coffee" (რეგ. N29095) რეგისტრაციის მოქმედების

ვადის ამოწურვის თარიღია 2027 წლის 14 ნოემბერი, ხოლო თქვენ მიერ ზემოაღნიშნული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნა საქპატენტში წარდგენილია 2026 წლის 09 ივნისს, დროის აღნიშნული პერიოდისთვის, საქპატენტი მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს თქვენს 2026 წლის 09 ივნისის R 12613-3/2026 განცხადებაში დაფიქსირებული მოთხოვნა, ზემოაღნიშნულ სასაქონლო ნიშანზე, რეგისტრაციის მოქმედების ვადის მომდევნო 10 წლით გაგრძელებასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული
აღნიშვნებისა და დიზაინის
დეპარტამენტის უფროსი

დარეჯანი მჭედლიძე

სისტემის სწორი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, გთხოვთ, საქპატენტის მოთხოვნაზე თქვენი პასუხი დააფიქსიროთ არა ახალი მოთხოვნის შექმნით, არამედ ძირითადი საქმის ქვესაქმის მეშვეობით. ამისთვის ძირითადი საქმის ქვესაქმეებში ფანქრის გამოსახულებით მონიშნეთ საქპატენტის ის მოთხოვნა, რომელზედაც აპირებთ პასუხის გაგზავნას. კბილანებზე კურსორის დაჭერით გამოჩნდება ქმედება: „საქპატენტის მოთხოვნაზე პასუხი". შეასრულეთ ეს ქმედება, ქმედება დასრულდება „დადასტურების" ღილაკის გამოყენებით. დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე: 2252533."